



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 459

24 სექტემბერი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის №21.1295.1457 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული 0121211615-67 (01212452367-67, 01212561572-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.1295.1457
15 / სექტემბერი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 30 ივლისის N0121211615-67 (N01212452367-67; N01212561572-67) განცხადებით მიმართა გივი კორინთელმა (პ/ნ 01030014949) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033). საპროექტო არეალის ფართობი 9 371 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სიტუაციით განთავსებულია შენობა-ნაგებობები, რომლის დემონტაჟიც განხორციელდება. სატრანსპორტო კავშირი ხდება, როგორც ბახტრიონის ქუჩიდან, ასევე ს. ცინცაძის ქუჩიდან; საპროექტო არეალის მომიჯნავედ განთავსებულია სს“ თელასის“ კუთვნილი ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქვესადგური, ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე გადადის სს“თელასის“ 6-10კვ.-ის ძაბვის მიწისქვეშა კაბელი, რომლის გადატანაც იგეგმება განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);

„ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N288 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ითვალისწინებს 5 შენობის განთავსებას, 3 კომერციული/საოფისე და 2 მრავალბინიანი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სართულიანობა იქნება 13 სართული, ხოლო კომერციული შენობების მაქსიმალური სართულიანობა 6-8 სართული.

ფუნქციური გადანაწილება: კომერციული- 25%, საცხოვრებელი- 75%.

საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

საპროექტო არეალის ფართობი - 9371 კვ.მ.

ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1);

კ1 - 0,5 კ2 - 3,5 კ3 - 0,3



სართულიანობა - 6-8-13 მიწისზედა სართული, 41 მეტრი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწოდებული იქნება გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 14 სექტემბრის N01212572440 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 13 სექტემბრის N01212562044 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.10.17.002.033 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქი თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121211615-67 (N01212452367-67; N01212561572-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01212562044

თარიღი: 13/09/2021

პინი: 4270

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპენტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 13 სექტემბრის №01212561572-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩის №24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.17.002.033; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6; საპროექტო ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებით, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა **01.10.17.002.033 საკადასტრო ერთეულზე** მოიჭრას **ერთი ძირი ზეხმელი (№2)** ელდარის ფიჭვი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავის გადარგვის საკითხს, გაცნობებით, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში, **01.10.17.002.033 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **ერთი ძირი (№1-D=48 სმ)** მუხის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს შემოაღნიშნული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს აღნიშნულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განხორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებით, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) დეტალური პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**გადასარგავი: ერთი ძირი მუხა; საპროექტოდ დასარგავი: 15 ძირი იტალიური ფიჭვი, 17 ძირი პიმალაის კედარი, 10 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 15 ძირი რობინია (ცრუაკაცია), 12 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 11 ძირი ევროპული მუხა, 4 ძირი იუდას ხე, 2 ძირი გინკო ბილობა, 8 ძირი წითელი ტყემალი, 12 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 6 ძირი მარადმწვანე მუხა, 160 ძირი იაპონური კვიდო; ჯამში - 273 ერთეული**) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**2 812 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა **01.10.17.002.033** საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული კირი - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01212572440

თარიღი: 14/09/2021

პინი: 2070

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 13 სექტემბრის N 01212561572-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძე, N24ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 28 აპრილის N 01211184486-67 წერილის პასუხად N 0121134421 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



მუშა

34

ფორმა/მასშტაბი

A3/1:1000

შენიშვნა

მიმდებარე საკადასტროები

საპროექტო ტერიტორია

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1

დაამუშავა

გივი კორინთელი

ს.გ. 01030014949

პროექტის სახელწოდება და სტადია

1. იხილეთ, სივრცითი გეგმა, გზა N 32ა, ს.კ. 01.10.17.007.033 ზონის ნაკვეთი 3 კომპლექსური საოფისო და 2 პრაქტიკული ნაწილის განაშენიანების რეკონსტრუქციის გეგმა

მასშტაბის დასაბუთება

C.Z.L.F.Z.3 ზონის ნაკვეთის კ.1, კ.2, კ.3 დაფიქსირებული გეგმა

ქ. თბილისი, 2021 წ.

urban

მთ. არქ.

გ. კაბაბერიძე

არქ.

გ. კაბაბერიძე

პროექტი

არქ.

ლაბუდაძე

პროექტი

არქ.


ი. ბარბაქაძე

პროექტი

არქ.

გ. კაბაბერიძე

პროექტი



მიწის ნაკვეთის პირობითი ნომერი/ საკადასტრო	ნაკვეთის ფართობი	კონკრეტული ფუნქციური ზონა	გამოყენების სახეობა	გამოყენების სახეობა	გამოყენების სახეობა	გამოყენების სახეობა
P1	9371	სსპ-1	კომერციული, ოფისი (25%)	კომერციული, ოფისი (25%)	კომერციული, ოფისი (25%)	კომერციული, ოფისი (25%)
			საზოგადოებრივი (75%)	საზოგადოებრივი (75%)	საზოგადოებრივი (75%)	საზოგადოებრივი (75%)
			0.5	3.5	3.5	3.5
						0.3

ფურცელი

35

ფურცლები/მასშტაბი

A3/1:1000

შენიშვნა

მიმდებარე საკადასტრო

საპროექტო ტერიტორია

საზოგადოებრივ საქმიანო

ზონა 1

საპროექტო გზის

საპროექტო გამწვანება

მნიშვნელობა

ცხრილში მითითებულ სართულსაბინაში იგულისხმება მიწისზედა სართულების რაოდენობა

შენიშვნები მითითებულ სართულსაბინაში არ იგულისხმება საპროექტო კონსტრუქციის და ლიფტის მანქანის სათავი

დამკვეთი

გეგმა, კორინტილი

3.6. 01030019499

პროექტის სახელწოდება და სტადია

1. თბილისი, სუბანის რაიონის, გზა N 24ა, ს.კ. 01.10.17.002.033 ნაგებობა 3 კმ/საათი/საათის და 2 მრავალბინიანი შენობის სამშენებლო რეკონსტრუქციის გეგმა

ნახაზის დასახელება

C.2.LF.4 შენობა ნაგებობის მესამედური სიმაღლის ან/და სართულსაბინის დადგენის გეგმა

1. თბილისი, 2021 წ.

მნიშვნელობა

ცხრილში მითითებულ სართულსაბინაში იგულისხმება მიწისზედა სართულების რაოდენობა

შენიშვნები მითითებულ სართულსაბინაში არ იგულისხმება საპროექტო კონსტრუქციის და ლიფტის მანქანის სათავი

დამკვეთი

გეგმა, კორინტილი

3.6. 01030019499

პროექტის სახელწოდება და სტადია

1. თბილისი, სუბანის რაიონის, გზა N 24ა, ს.კ. 01.10.17.002.033 ნაგებობა 3 კმ/საათი/საათის და 2 მრავალბინიანი შენობის სამშენებლო რეკონსტრუქციის გეგმა

ნახაზის დასახელება

C.2.LF.4 შენობა ნაგებობის მესამედური სიმაღლის ან/და სართულსაბინის დადგენის გეგმა

1. თბილისი, 2021 წ.

მნიშვნელობა

ცხრილში მითითებულ სართულსაბინაში იგულისხმება მიწისზედა სართულების რაოდენობა

შენიშვნები მითითებულ სართულსაბინაში არ იგულისხმება საპროექტო კონსტრუქციის და ლიფტის მანქანის სათავი

დამკვეთი

გეგმა, კორინტილი

3.6. 01030019499


პროექტის სახელწოდება და სტადია


1. თბილისი, სუბანის რაიონის, გზა N 24ა, ს.კ. 01.10.17.002.033 ნაგებობა 3 კმ/საათი/საათის და 2 მრავალბინიანი შენობის სამშენებლო რეკონსტრუქციის გეგმა

ნახაზის დასახელება

C.2.LF.4 შენობა ნაგებობის მესამედური სიმაღლის ან/და სართულსაბინის დადგენის გეგმა

1. თბილისი, 2021 წ.





ნაგავშეშკრები კონტეინერის
განთავსების არეალი

მონ. ნაკვეთის პრიორიტეტი ნომერი/ საკავალტრო	ნაკვეთის კონკრეტული ფართობი ფუნქციური ზონა	გამოყენების სახეობა	გაუმჯობესების საფუძველი/საფუძველი	კ1	კ2	კ3	შემოსი მქონე/საფუძველი საფუძველი	შემოსი მქონე/საფუძველი	ნაკვეთის დაყოფა (გაუმჯობესების რეჟიმის)	გათვალისწინების რეჟიმის	პირველი გეგმავლობითი წყობა	შემოსი მქონე/საფუძველი რეჟიმის	საფუძველი მქონე/საფუძველი	ნაკვეთის კონკრეტული ფართობი	ნაკვეთის დაყოფა (გაუმჯობესების რეჟიმის)	14.39 ათ. აკრეფილი ჰექტარები/საფუძველი ზონის	ტერიტორიული სტრუქტურული ზონირება	მონ. ნაკვეთის
P1	9371	ს/მ-1	კომერციული, რეზიდენცია (25%)	0.5	3.5	0.3	13 საფუძველი	41 მუდრი	აეროდინამიკური სივრცე	განმარტების წყაროების რეჟიმის ხაზი	ღია	5	ბინათა 96 კმ/საფუძველი	საფუძველი	საფუძველი	166	მუდმივი ზონა	-